



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კორახაშვილი ავთანდილ (ბიძინა) არჩილის ძე



ა. კორახაშვილი

კორახაშვილი ავთანდილ (ბიძინა) არჩილის ძე (დ. 24. IX. 1949, თბილისი), აგროტექნოლოგი. საქართველო. მეცნი. ეროვნ. აკად. აკადემიკოსი (2013; წ.-კორ. 2009), სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი (1994), პროფესორი (1995). დაამთავრა საქართველო. სას.-სამ. ინ-ტი (1971). მუშაობდა თბილ. საბაზისო სანერგე მეურნეობაში (1972-76), საქართველო. ხორცისა და რძის მრეწველობის (1975-79), გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის (2001-15) სამინისტროებში, 1979-იდან - საქართველო. აგრარულ უნ-ტში (კათედრის გამგე 1989-2007). მონაწილეობდა USAID-ის 5 პროექტში. ეწევა აქტიურ საზ. მოღვაწეობას. არის საქართველო. შოთა რუსთაველის ეროვნ. სამეცნი. ფონდის სამეცნი. საბჭოს წევრი (2006-18), ევროპის გენეტიკური რესურსების

(ECP/GR), სოფლის მეურნეობის, სურსათისა და გარემოს დაცვის საინფორმაციო ტექნოლოგიების ევროპის ფედერაციისა (EFITA) და მრავალი საერთაშ. ორგანიზაციის (TACIS, GTZ, CGIAR და სხვ.) სამეცნი. საბჭოს წევრი, ექსპერტი, კოორდინატორი და ანალიტიკოსი.

კ-ის სამეცნი. მოღვაწეობის სფეროა აგრობიომრავალფეროვნების დაცვა და გაუმჯობესება, აგრარული ნანო-, ბიო- და საინფორმაციო ტექნოლოგიების ადაპტაცია საქართველოსთვის; საქართველო. საკვებისა და სურსათის უვნებლობისა და ხარისხის საკანონმდებლო-ნორმატიული აქტების შექმნა და ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია.

კ. ეწევა პედ. მოღვაწეობას საქართვე., აშშ-ის, იაპონიის, უნგრეთის, ჩინეთის უნ-ტებში. 30-ზე მეტ ქვეყანაში გამოქვეყნებული აქვს მრავალი სამეცნ. ნაშრომი, 6 მონოგრაფია და 18 სახელმძღვანელო, აქვს 2 პატენტი და 15 გამოგონება.

დაჯილდოებულია კვების მრეწველობის წარჩინებულის ვერცხლის (1979), იუნესკოს კონფუცის ოქროს (1995), მალაიზიის HACCP-ის ოქროს (2005) მედლებით. მიღებული აქვს ღირსების ორდენი (1999) და ლ. დეკაპრელევიჩის სახელობითი პრემია (2019).

თბზ.: Georgian-English-Russian-German- French-Spanish Agrarian Dictionary, Tb., 2004-22; Research of Cinnamonic Calcareous Soil Fertilizing Systems for Pastures Akhaltsikhe District, (2011), (in cooperation), Communications in Soil Sciences Plant Analysis, Taylor and Francis, USA, vol. 42, №7; The Study of Biodiversity of Thirty two Families of Useful Plants Existed in Georgia, World Academy of Sciences, International Journal, 2018, v. 12, № 10, Tokyo.

პ. მამრადე
